ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

„ევროპული და შედარებითი კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა“ (ECCLAP)

2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ვებინარების სერია

ვებინარი N1

ზურაბ გველესიანი - „კონკურენციის სამართლის და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ურთიერთკავშირი და სინერგია”

2025 წლის 30 ოქტომბერი, 17:00-18:30 (ონლაინ რეჟიმში)

მოწვეული ექსპერტის შესახებ

ზურაბ გველესიანი - ჰამბურგის უნივერსიტეტის ევროპული და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის (MEIL) მიწვეული ლექტორი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი; ალტე უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კვლევისა და სწავლების 15 წლიანი გამოცდილებით. მისი ექსპერტიზის სფეროები მოიცავს ევროკავშირის, კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალს. ფლობს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (CEU) სამართლის დოქტორის (SJD) ხარისხს (Summa Cum Laude), სადაც მისი სადოქტორო ნაშრომი ეძღვნებოდა კონკურენციისა და მომხმარებელთა უფლებების თანაკვეთას. არის სტოქჰოლმის უნივერსიტეტისა (SU) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი.

ვებინარის შესახებ

კონკურენციის სამართალი და მომხმარებელთა უფლებების დაცვა წარმოადგენენ ერთი მონეტის ორ მხარეს. ისინი ერთობლივად უზრუნველყოფენ ბაზრის სამართლიან, ეფექტიან და მომხმარებელთა კეთილდღეობაზე ორიენტირებულ ფუნქციონირებას. ევროკავშირის სამართალში ეს ურთიერთკავშირი აღიარებულია ერთიანი ბაზრის პოლიტიკის ძირითად ელემენტად, ხოლო საქართველოში მსგავსი მიდგომა ასახულია იმაში, რომ ერთსა და იმავე ორგანოს აქვს როგორც კონკურენციის, ისე მომხმარებელის უფლებების დაცვის შესახებ კანონის აღსრულების მანდატი. ვებინარზე განხილული იქნება ამ დარგების ურთიერთკავშირი და საერთო ეკონომიკური საფუძვლები ევროკავშირის სამართლის მაგალითზე, ისევე როგორც ქართული რეფორმების თავისებურებები და არათანმიმდევრულ ნაბიჯები.

ვებინარზე რეგისტრაცია შესაძლებელია შემდეგი ლინკის საშუალებით

https://forms.gle/4Q8eBAUQQALnyMp99

დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი

ი. ჭავჭავაძის გამზ. N3
თბილისი
0179
საქართველო

ECCLAP კონტაქტი: ლიანა ჯაფარიძე
ელ-ფოსტა: liana.japaridze@tsu.ge
https://www.linkedin.com/in/liana-japaridze-94b71824/